



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 18 14

21/08/2020

დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სტრატეგიის ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 16ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1 პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სტრატეგია“ დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს ა(ა)იპ „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებას“ სტრატეგიის შესრულება
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

2020-2021 წწ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი აცნობიერებს განთლების მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის, აქტიურად უჭერს მხარს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის და განათლების ბავშვზე ორიენტირებული ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.

ახალქალაქის სკოლამდელი განათლების 2020-2021 წლების მუნიციპალური სტრატეგიის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს 2-6 წლის ბავშვების სკოლამდელი აღზრდისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება

სკოლამდელი განათლების განვითარების 2020-2021 წლების სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების ძირითად პრიორიტეტებს და გამოწვევებს, ადგენს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების მიზნებს, ამოცანებსა და მათი რეალიზაციის გზებს.

სკოლამდელი განათლების სფეროში მუნიციპალური პოლიტიკა – სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ და ეფუძნება განვითარების პრიორიტეტებს და ამ პრიორიტეტების შესაბამისად სკოლამდელი განათლების განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას.

თავი I. ზოგადი დებულებები

1.1. 2020-2021 წწ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია (შემდგომში- სტრატეგია) არის მოკლევადიანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სფეროში განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ადგენს სკოლამდელი განათლების სფეროს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს.

1.2. სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სტრატეგიის რეალიზაცია ხორციელდება ა(ა)იპ „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ მიერ ამ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

1.3. ძირითადი პრინციპები მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

სკოლამდელი აღზრდის საყოველთაობა- ადრეულ ასაკში სწავლების და განვითარების მომსახურების მიწოდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის, მათი ჩართვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში.

მთავარია ბავშვი - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტრატეგია ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თითოეული ბავშვი უნიკალურია თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ბავშვისადმი მიდგომა მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში არის ჰოლისტური.

თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობა - თითოეული ინდივიდისა და ჯგუფის მიმართ პატივისცემის გამოხატვა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნა თითოეული ბავშვისთვის, განურჩევლად იმისა, უმცირესობის ან განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენელია თუ არა.

უსაფრთხოება - სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვი არსებობს უნდა უქმნიდეს მას განვითარებისთვის საუკეთესო შესაძლებლობებს. ბავშვის გარშემო არსებული გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, კომფორტული, ორგანიზებული, მშვიდი და პოზიტიური. ყველა მუნიციპალურ ბაღში უნდა იყოს დაცული კვებისა და ჰიგიენის უმაღლესი სტანდარტები და გათვალისწინებული შესაბამისი რეკომენდაციები.

კრეატიული გარემო - მნიშვნელოვანია, რომ გარემო სთავაზობდეს ბავშვს მრავალფეროვან რესურსს, მასალებს, რომლებზეც მას სრული ხელმისაწვდომობა ექნება. განმავითარებელი

გარემო ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბავშვს შეეძლოს ინიციატივის გამოქვეყნება და დამოუკიდებლად მოქმედება.

ბავშვის პატივისცემა - ძალადობა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში გარემო ძალადობისგან თავისუფალია. დაცულია რეფერირების წესი და ყველა ბაღში გამოყოფილია ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებასა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

მშობლების და ბაღის პერსონალის თანამშრომლობა - მშობლებს უნიკალური როლი აქვთ ბავშვის განვითარებაში. მათი ჩართულობა ბაღის მუსაობაში და სკოლამდელი განათლების პროგრამის განხორციელებაში უნდა იყოს წახალისებული. მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს საკონსულტაციო საბჭოების არსებობას ბაღებში და ახორციელებს მათი საქმიანობის მხარდაჭერას.

აღმზრდელ-პედაგოგის დამოუკიდებლობა - აღმზრდელ-პედაგოგი ცენტრალური ფიგურაა საბავშვო ბაღში ბავშვის განვითარებაში და მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხელშეწყობა და მხარდაჭერა ჯეროვნად შეასრულოს დავისრებული მოვალეობა.

სიჯანსაღე და ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს ბავშვების სოციალური, კოგნიტური და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ დამოუკიდებლობას. მუნიციპალიტეტი ყველა საჯარო ბაღში ხელს უწყობს შესაბამისი სათამაშო სივრცეების და გარემოს მოწყობას.

თანამშრომლობითი გარემო - სტრატეგია მხარს უჭერს მუნიციპალურ ბაღებში პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას თანამშრომლებს შორის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას და ღირსეული სამუსაო პირობების შექმნას.

თავი II. სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები

1. სტრატეგიული მიმართულება - საყოველთაო ხელმისაწვდომობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტი შედგება 22 ადმინისტრაციული ერთეულისაგან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს 65 დასახლებული პუნქტი, მათ შორის 1 ქალაქი და 64 სოფელი.

მოსახლეობა შეადგენს 42.9 ათას ადამიანს, მათ შორის 5000 ბავშვი 6 წლის ჩათვლით.

2019 წლის ბოლოსათვის ფუნქციონირებდა 12 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ამათგან 3 იყო ალტერნატიული. სულ 12 ბაღში ჩარიცხული იყო 993 ბავშვი (521 ბიჭი და 472 გოგო). საბავშვო ბაღებში დადის მთლიანად ბავშვების 19% პროცენტი. ამოცანები:

1.1. დაზუსტდეს მომსახურების გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობა:

- მომზადდეს სპეციალური კითხვარი;
- ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის რწმუნებულების დახმარებით მოგროვდეს მონაცემები
- მოხდეს მონაცემების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში დასახლებების მიხედვით;

1.2. დაიგეგმოს მომსახურების გარეთ დარჩენილი ბავშვების მინიმუმ 10% ჩართვა სკოლამდელ მომსახურებაში

- არსებული ადგილების რაოდენობის დათვლა დასახლებების/ბაღების მიხედვით; - სატრანსპორტო მომსახურების მიწოდების წინადადებების შემუშავება (საჭიროებისამებრ)
- მშობლებთან შეხვედრები

1.3. ახალი ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია ბავშვების მომსახურებაში ჩართვის მიზნით - მინიმუმ 3 ახალი ბაღის ფუნქციონირება

- ბავშვთა რაოდენობის მიხედვით ახალი ბაღების მშენებლობის წინადადებების მომზადება 2021 წლისთვის

2. სტრატეგიული მიმართულება - ბაღის შიდა ინფრასტრუქტურა (შენობა);

2.1. ბაღების ელექტროქურებით აღჭურვა

- 3ფაზიანი ელ-ენერჯის შეყვანა სამზარეულოს ელექტრო ქურებისთვის 3 ბაღში
- 12 ბაღის ელექტროქურებით უზრუნველყოფა (შესყიდვა და მონტაჟი)
- ბაღების მზარეულების ტრენინგი ელექტროქურების გამოყენების უსაფრთხოების წესების თაობაზე

3. სტრატეგიული მიმართულება - ბაღის გარე ინფრასტრუქტურა (ეზო და მიმდებარე ტერიტორია);

3.1. ბაღების ეზოების მოწყობა მეორადი მასალებით

- 15 ბაღის ეზოების მოწყობა მეორადი მასალებით
- ტრენინგი 78 აღმზრდელისთვის მეორადი და ბუნებრივი მასალის გამოყენების საკითხებზე
- მშობლებთან მუშაობა/შეხვედრები ეზოების მოწყობაში დასახმარებლად

4. სტრატეგიული მიმართულება - საგანმანათლებლო რესურსები (წიგნები, სათამაშოები და ა.შ.)

4.1. სომხურ ენაზე საბავშვო ლიტერატურის მოძიება და შესყიდვა

4.2. სათამაშოების შეკვეთა, შესყიდვა და მიწოდება ბაღებისთვის

- ბაღებისგან ინფორმაციის მოგროვება/ საჭიროებების კვლევის ჩატარება
- შესაბამისი შესყიდვების განხორციელება

5. სტრატეგიული მიმართულება - დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება

2021 წლისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება ხელმძღვანელობს 15 სკოლამდელ დაწესებულებას 41 სააღმზრდელო ჯგუფით. აქ დასაქმებულია 229 შტატისანი და 2 შტატგარეშე მუშაკი, აქედან 78 აღმზრდელია, 5 მუსიკის პედაგოგი, 12 მზარეული, 12 მენეჯერები, 41 თანამშემწე 11 ადმინისტრაციული თანამშრომელი, 17 მწეადრაჯი, 9 სპეც. პედაგოგი, 11 დამლაგებელი, 12 მედ. და, 13 ქართულ ენის მასწავ, 8 მზარეულის დამხმარე.

სხვადასხვა წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 20 პერსონალმა გაიარა ტრენინგები თემაზე. მათგან 1 დირექტორმა და 19 სხვა პერსონალმა.

5.1. სკოლამდელი განათლების პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია

- უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება

5.2. აღმზრდელების და დირექტორების ტრენინგები

- აღმზრდელების და დირექტორების ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრა
- ტრენინგების ფორმის, ხანგრძლივობის და ფასის დადგენა
- 78 აღმზრდელების და 13 დირექტორების ტრენინგების შესყიდვა/ჩატარება

- 5.3. პერსონალის კვალიფიკაციის მონიტორინგი და შეფასება
- 5.4. 12 მედლების ტრენინგის ჩატარება COVID-19 უსაფრთხოების და ჯანდაცვის რეკომენდაციების საკითხებზე
- 5.5. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის შემუშავება და დამტკიცება
 - აღმზრდელების და დირექტორების ტრენინგის ჩატარება
 - აღსაქრდელების ტრენინგი სათამაშო ღონისძიებების მეშვეობით
- 5.6. სპეცპედაგოგების (9 ადამიანი) ტრენინგის ჩატარება

6. სტრატეგიული მიმართულება - მშობლები და თემი

- 6.1. საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბება/არჩევა მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში
 - შეხვედრები ბაღების პერსონალთან და მშობლებთან საკონსულტაციო საბჭოების როლზე და პასუხისმგებლობაზე
 - არჩევნების ორგანიზება
- 6.2. შეხვედრები/ტრენინგი არჩეული საკონსულტაციო საბჭოს წევრებისთვის

7. სტრატეგიული მიმართულება - სფეროს მართვის გაუმჯობესება

- 7.1. ბაღების საქმიანობის მონიტორინგი და წინასაავტორიზაციო შეფასება
 - პერიოდული მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება და პერსონალისთვის გაცნობა
 - მონიტორინგის შედეგების გაცნობა
 - ავტორიზაციის წესის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
- 7.2. აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტის დანერგვა
 - აღმზრდელების არასაკონტაქტო საათების საკითხის მოგვარება

თავი III. შედეგები

2021 წლისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2-6 წლის ბავშვების 50% ჩართულია სკოლამდელი განათლების მომსახურებაში; საბავშვო ბაღების 100 % აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ რეგულაციებს; კვებითი მომსახურება არის სტანდარტის შესაბამისი. პედაგოგების 100 % არიან ახალი მეთოდოლოგიით გადამზადებულნი, ბაღებში შექმნილია ბავშვზე ორიენტირებული ურთიერთთანამშრომლობითი გარემო. ყველა ბავშვი სააღმზრდელო ჯგუფის დასრულების შემდეგ მზადაა სასკოლოდ, განვითარებული აქვს სოციალურემოციური, შემეცნებითი, ფიზიკური, სამეტყველო უნარ-ჩვევები. ბაღების 80% ჩამოყალიბებულია საკონსულტაციო საბჭოები და მშობლები სიამოვნებით არიან ჩართული საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში,

ნაირი ირიცან

საკრებულოს თავმჯდომარე

